წინმსწრები პრეს-რელიზი

სემეკში საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი იწყება

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (სემეკ) საჯარო სამსახურების დაძმობილების რიგით მესამე პროექტი იწყება. პროექტის - „მომსახურების ხარისხის წამახალისებელი რეგულირებისა და ჭკვიანი აღრიცხვის დანერგვის მხარდამჭერი მარეგულირებელი სტრატეგიის შემუშავება“ გახსნის ცერემონია 11 აპრილს, 11:00 სთ-ზე, ქ. თბილისის საკრებულოში გაიმართება.

ღონისძიებას დაესწრებიან სამთავრობო უწყებების, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის, სემეკის, ავსტრიის, საფრანგეთის, საბერძნეთის მარეგულირებელი კომისიების, ენერგეტიკის სექტორში მოქმედი კომპანიების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ევროკავშირის მიერ 1 200 000 ევროს ოდენობით დაფინანსებული პროექტის მიზანია დაეხმაროს სემეკს მომსახურების ხარისხისა და მიწოდების საიმედოობის წამახალისებელი რეგულირების, ასევე ჭკვიანი აღრიცხვის მხარდამჭერი მარეგულირებელი სტრატეგიის შემუშავების პროცესში, საქართველოში არსებული საჭიროებებისა და გამოწვევების გათვალისწინებით.